PDF Eraser Free

დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ კოლეჯი სპექტრის მიერ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ რემიშვილი

წევრები:

გივი დოლიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. რემიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **კოლეჯი სპექტრი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **სსიპ**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში ცენტრი)დირექტორის **24.03.2021 N 280366** ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს დავალებული გვქონდა **სსიპ - კოლეჯ „სპექტრში"** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის **„იატაკისა და ფილის სამუშაოები"** პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა.

ექსპერტებმა შევისწავლეთ დაწესებულების მიერ გამოგზავნილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადი, პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და სხვა დოკუმენტაცია. ჯგუფმა საჭიროდ ჩათვალა დამატებით მოეთხოვა დოკუმენტები პროგრამის სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების შესწავლის მიზნით. ეს დოკუმენტებია:

1. პასუხისმგებელი პირის მიერ დამტკიცებული პროგრამა/მოდულები, პროგრამის სასწავლო გეგმა, ბიუჯეტი, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი, პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტი.
2. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მიღება- ჩაბარების აქტები, გადახდის ქვითრები და სხვა) .
3. შპს „ანაგთან" გაფორმებული ხელშეკრულება პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის და პროგრამების ფარგლებში მისაღწევის სწავლის შედეგების მითითებით (არსებობის შემთხვევაში).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. პროგრამის ხელმძღვანელებისა და მოდულების განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები (2 განმახორციელებელი პირის პირადი საქმე), დანიშვნის ბრძანებები/ხელშეკრულებები, პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებლების ფუნქცია-მოვალეობები.
5. პროგრამისთვის გამოყოფილი უსაფრთხოების სპეციალისტის პირადი საქმე, დანიშვნის ბრძანება, მისი ფუნქცია-მოვალეობები.
6. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
7. პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაცია - აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა, სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა;
8. პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა/დასაქმების მაჩვენებელი (არსებობის შემთხვევაში).
9. არსებობის შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები.
10. ინფორმაცია წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი, განახორციელა დისტანციური ვიზიტი კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მიმდინარე წლის 7აპრილს . მოხდა დაწესებულების მატერიალური რესურსის, მათ შორის ბიბლიოთეკის, A,B და C გარემოს, ადაპტირებული გარემოს დათვალიერება, ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, ინტერვიუ წარიმართა კონსტრუქციულ ვითარებაში ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული განრიგის შესაბამისად(იხილეთ დანართი 1- ვიზიტის განრიგი). ინტერვიუ შედგა დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ადმინისტრაციასთან, დაწესებულების მიერ გამოგზავნილ დოკუმენტაციაზე პასუხისმგებელ პირებთან, ხარისხის უზრუნველყოფაზე და პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, მათ შორის პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიულ სტუდენტებთან. წარმოების დასრულებამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯერა მიგნებები და გააცნო დაწესებულებას.

დაწესებულებამ მესამე დონის პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები" დაიმატა 2020 წელს(07/05/2020 N 365489).

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

--

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა:

1. *რეკომენდებულია, დაწესებულების მიერ შემუშავებული „სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“-პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (ქვოტა) განსაზღვრის მეთოდოლოგია“ და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე - „ვებტექნოლოგიები“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება“ არ იყოს ზოგადი და დაწესებულებას ჰქონდეს აღწერილი კონკრეტულად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განკუთვნილი მატერიალური და ადამიანური რესურსები, რითაც რეალურად განსაზღვრავდნენ წარმოდგენილ პროგრამებზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტთა რაოდენობას,*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

დაწესებულების მიერ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 30 პროფესიული სტუდენტის (ორი ჯგუფის) დამატების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დამატებით მინიმუმ ერთი დარგობრივი პროფესიული მასწავლებლის აყვანა, „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღოს დამატებით ერთი პროფესიული მასწავლებელი, რომელიც განახორციელებს პროფესიული მოდულების სწავლებას - აღნიშნულმა რეკომენდაციებმა გამოიწვია საგანმანთლებლო პროგრამაზე კვოტის შემცირება, შესაბამისად აქტუალური გახდება იმ შემთხვევაში თუ დაწესებულება გადაწყვეტს საგანმანთლებლო პროგრამებზე კვოტის გაზრდას; ***შედეგი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "იატაკისა და ფილის სამუშაოების" პროგრამისათვის კოლეჯმა მიიღო დამატებით 1 პროფესიული განათლების მასწავლებელი.***

2. *რეკომენდებულია, დაწესებულებაში კვლევები ჩატარდეს არა მხოლოდ შეფასების მიმართულებით, არამედ მოხდეს ასევე პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების კვლევა, რათა გამოიკვეთოს მათი საჭიროებები - რეკომენდაცია არაა გათვალისწინებული, დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი კვლევების ჩატარების ამსახველი დოკუმენტაცია, თუმცა კორესპონდენციაში განმარტავს, რომ ხსენებულ საკითხზე აქტიურად მუშაობს კოლეჯი წლის მანძილზე;* ***შედეგი - მოხდა გამოკითხვის ფორმების განახლება და დამტკიცდა კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით კოლეჯი ეტაპობრივად დაიწყებს გამოკითხვებს.***

3. *რეკომენდებულია, კოლეჯის N3 შენობაში (C გარემო) ჩატარდეს გასუფთავების სამუშოები. დაცული იქნეს ჰიგიენური პირობები, მოწესრიგდეს სივრცის განათების, განიავების საკითხი და შენობამდე მისასვლელი პანდუსი - რეკომენდაცია*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გათვალისწინებულია ნაწილობრივ; აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულებამ 2020 წლის 10 სექტემბრის MES 4 20 0000812835 და 2020 წლის 18 სექტემბრის MES 6 20 0000858314 კორესპონდენციებით წარმოადგინა ფოტომასალა, საიდანაც ჩანს, რომ N3 შენობაში (C გარემო) ჩატარებულია გასუთავების სამუშაოები, არაა წარმოდგენილი N3 შენობამდე მისასვლელი პანდუსის სურათი. ***შედეგი-შესრულებულია;***

4. *რეკომენდირებულია, დაწესებულებამ კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული მარეგულირებელი დოკუმენტები (ბიბლიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი) შესაბამისობაში მოიყვანოს დაწესებულების სახელწოდებასთან; დაწესებულებამ შესაბამისობაში მოიყვანოს საქმისწარმოების მარეგულირებელი დოკუმენტი დაწესებულების სახელწოდებასთან და ახალ სტანდარტებთან - რეკომენდაციები არაა გათვალისწინებული, დაწესებულებამ შეიცვალა სახელი და ეწოდება სსიპ-კოლეჯი „სპექტრი“, დოკუმენტების ნაწილი დარჩენილია ძველი სახელწოდებით და შესაბამისად რეკომენდაცია გაიცა სახელწოდების შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე;* ***შედეგი - მიმდინარე;***

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

–

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდირებულია:

- *დაწესებულებამ ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი (პროფესიულ სტუდენტთა კვოტის განსაზღვრის მეთოდოლოგია, პროგრამებისა და მოდულების შემუშავების, პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი, ცვლილების შეტანის და გაუქმების წესი და სხვა) შესაბამისობაში მოიყვანოს დაწესებულების სახელწოდებასთან;*
- *დაწესებულებამ უმოკლეს ვადაში მიმართოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის ასაღებად;*

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება პროგრამისთვის იატაკისა და ფილის სამუშაოები

პროგრამის სახელწოდება	**იატაკისა და ფილის სამუშაოები**
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	**მესამე**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	**0732**
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცება: 2020 წლის 10 თებერვალი კოლეჯის დირექტორის ბრძანება N51; ცვლილება: 2020 წლის 05 მარტის კოლეჯის დირექტორის ბრძანება N 108 და N 110; 2020 წლის 30 სექტემბრის კოლეჯის დირექტორის ბრძანება N227; 2021 წლის 05 მარტის კოლეჯის დირექტორის ბრძანება N52;
პროგრამის განხორციელების ენა	**ქართული ენა**
პროგრამის განხორციელების ადგილი	**ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10**
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	**მოდულური**
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	**50**
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	**82**
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	**97**

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება პროგრამისთვის იატაკისა და ფილის სამუშაოები

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	შეესაბამება	შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება პროგრამისთვის იატაკისა და ფილის სამუშაოები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ექსპერტთა შეფასებით პროგრამით „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების, სასწავლო საწარმოს და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;** პროგრამის განხორციელების ადგილად განსაზღვრულია - თბილისი 0168, ბ. ჭიჭინაძის ქ N10 (აფრიკის დასახლება). „სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (ქვოტა) განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ დირექტორის 2018 წლის 15 მარტის N145 ბრძანების (დირექტორის 20/03/2019წ. N129 ბრძანებით შევიდა ცვლილება) შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილია - **50 პროფესიული სტუდენტი.** წარმოების დროს პროგრამაზე სწავლობს **15 პროფესიული სტუდენტი.** კოლეჯმა წარმოადგინა **„იატაკისა და ფილის სამუშაოების“** საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალი, რომელიც შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან. პროგრამაში დანართის სახით დამტკიცებულია საჭირო მატერიალური რესურსი. **პროგრამის განხორციელებისთვის კოლეჯში არის სწავლის შედეგების დადასტურებისთვის საჭირო მატერიალური რესურსით აღჭურვილი: 5 A გარემო - 47 პროფესიულ სტუდენტზე, 1 A/C გარემო - 15 პროფესიულ სტუდენტზე, 1C გარემო- 80 კვ.მ.ფართობით, 4 B გარემო 66 კომპიუტერით და 1 A/B გარემო 17 პროფესიული სტუდენტისთვის 5 კომპიუტერით.** ექსპერტთა მიერ ვიზუალურად მოხდა კოლეჯის დათვალიერება. ვიზუალურად დათვალიერებისას შემოწმდა C გარემოსთვის განკუთვნილი მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. C გარემოსთვის არსებული მატერიალური რესურსი შესაბამისობაშია პროგრამაში განსაზღვრულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან. პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ორგანიზაციასთან შპს „ანაგი“; მემორანდუმი ორ წლიანია, მემორანდუმის თანახმად პრაქტიკის ვადები მოიცავს სწავლის დაწყებიდან სწავლის დასრულების პერიოდს. ექსპერტებმა ასევე შეისწავლეს განცხადება, სადაც კომპანია სთხოვს კოლეჯს, რომ 2021 წელს მოუმზადოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ მინიმუმ 30 (ოცდაათი) კურსდამთავრებული. ექსპერტთა მიერ შემოწმდა ზემოხსენებულ კომპანიასთან დადებული მემორანდუმი, სადაც გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები. პროგრამის ხელმძღვანელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ კოლეჯი ყველა მოდულის ფარგლებში პრაქტიკულ კომპონენტს განახორციელებს თავის ტერიტორიაზე არსებულ C გარემოში, **პროგრამა არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკას.** მემორანდუმის თანახმად პრაქტიკული კომპონენტის „ანაგში“ განხორციელება მოხდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. კომპანიას ერთდროულად შეუძლია მიიღოს მაქსიმუმ 30 პროფესიული სტუდენტი. „ანაგის“ წარმომადგენელმა ინტერვიუირებისას დაადასტურა ზემოხსენებული ინფორმაცია და გამოთქვა მზადყოფნა კოლეჯ „სპექტრთან“ თანამშრომლობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

2. **ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას;** საგანმანთლებლო პროგრამის დანართის სახით წარმოდგენილია პროგრამის განმახორციელებელ პირთა სია. დაწესებულებას საერთო პროფესიული და დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული სულ **11** პროფესიული განათლების მასწავლებელთან. წინა წარმოების შემდეგ დაწესებულებამ ხელშეკრულება გაუფორმა კიდევ ერთ პროფესიული განათლების მასწავლებელს და ვიზიტის დროს პროფესიული დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის უკვე **2** პროფესიული განათლების მასწავლებელთან არის გაფორმებული ხელშეკრულება. ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საჭიროებიდან გამომდინარე სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს ორ ცვლაში. პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას კოლეჯი ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ განსახორციელებელ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა - მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი და სხვ. პროგრამის პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ექსპერტაბთან გასაუბრებისას დაადასტურეს, რომ კვირაში 30 საათზე მეტს არ ატარებენ.

3. **ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, მათი** კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობს და ისინი აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების დროს ექსპერტთა მიერ დამატებით იქნა გამოთხოვილი და შემოწმებული პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. წარმოდგენილი დოკუმენტებით პროფესიული განათლების მასწავლებლებს უდასტურდებათ დარგის შესაბამისი კვალიფიკაცია და კომპეტენცია, ასევე მოხდა მათთან გასაუბრება. მათთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აქვთ მოდულური პროგრამის განხორციელების გამოცდილება. პროგრამის განმახორციელებელმა ერთ-ერთმა პირმა აღნიშნა, რომ მას აქვს მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილება და შესაბამისად პროფესიული სტუდენტის შეფასების კომპეტენცია. პროგრამის განმახორციელებელი მეორე პირი დასაქმებულია 2020 წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ოქტომბრიდან, ექსპერტთა მიერ დამატებით გამოთხოვილ და შესწავლილ იქნა მისი პირადი საქმე. პროფესიული განათლების მასწავლებელს უდასტურდება დარგის შესაბამისი კვალიფიკაცია და კომპეტენცია.

4. **ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროგრამის „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ ხელმძღვანელი შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონეა;** დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების დროს ექსპერტთა მიერ დამატებით იქნა გამოთხოვილი საგანმანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე, მისი დანიშვნის ბრძანება და ასევე მოხდა მასთან გასუბრება. დოკუმენტაციის მიხედვით, მას დაუდასტურდა შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია. კოლეჯის ხარისხის მენეჯერმა აღნიშნა, რომ იგი წარმატებით ატარებს ტრენინგებს პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ყველა საჭირო თემატიკასთან დაკავშირებით.

5. **ექსპერტთა შეფასებით პროგრამაში „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;** დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების დროს ექსპერტთა მიერ შემოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომლობა. დაწესებულების წარმომადგენლებთან და ბიბლიოთეკართან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი არის კოლეჯის ბიბლიოთეკაში როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით. წარმოდგენილი სასწავლო რესურსი შესაბამისობაშია პროგრამაში მითითებულ სასწავლო რესურსთან, ვიზიტის დროს ბიბლიოთეკარის დახმარებით შერჩევით გადამოწმდა მოდულებში მითითებული სახელმძღვანელოები. კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით შესაძლებელია პროფესიული სტუდენტთათვის შესაბამისი ცოდნის მიცემა და სწავლის შედეგების გამომუშავება. სამკითხველოში განთავსებულია 8 ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი.

დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ვებგვერდზე ასევე ატვირთულია სახელმძღვანელოების ჩამონათვალი და ელექტრონული კატალოგი (OPAC), რომელიც საშუალებას მისცემს დაინტერესებულ პირს ნახოს თუ რა სახის ბიბლიოგრაფიული მონაცემებია კოლეჯის ბიბლიოთეკაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. **ექსპერტთა შეფასებით სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;** სასწავლო პროცესი ხორციელდება 3 სხვადასხვა კორპუსში, სადაც მოწყობილია შესაბამისი A,B,C გარემო.ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, სსსმ პირებს უპრობლემოდ ექნებათ წვდომა სასწავლო რესურსთან. სსსმ პირებს საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად ყველა სასწავლო გარემოსა და შესაბამის სასწავლო რესურსთან წვდომა ექნებათ შეუფერხებლად.

   დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სსსმ და შშმ პირების რეგისტრაციისა და ჩარიცხვის წესი, სსსმ/შშმ პირებისთვის აკომოდაციისა და მოდიფიკაციის აქტივობების განსაზღვრა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდიკის განსაზღვრის წესი, სსსმ/შშმ პირების სწავლებისთვის განხორციელებული აქტივობების აღრიცხვა-ანგარიშის შედგენის წესი დასსსმ/შშმ პირების სერვისით სარგებლობის წესი.
   როგორც კოლეჯის წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა, სასწავლო რესურსების ადაპტირების საჭიროება დაწესებულებას არ ჰქონია. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება აცნობიერებს და აქვს მზაობა საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს სასწავლო რესურსების ადაპტირება სსსმ/შშმ პირების საჭიროებების შესაბამისად;

7. **ექსპერტთა შეფასებით პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია პროგრამის „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ განხორციელების მდგრადობა,** რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ როგორც პროგრამული, ისე ვაუჩერული დაფინანსებით. ვიზიტის დროს ექსპერტებმა მოითხოვეს პროგრამის ბიუჯეტი და გაესაუბრნენ კოლეჯის წარმომადგენლებს, თუმცა პროგრამის ბიუჯეტის შესწავლა ვერ მოხდა ექსპერტების მიერ, რადგანაც გადმოგზავნილი არ იყო დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტებთან ერთად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა/მოდულები/სასწავლო გეგმა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“;
- კოლეჯის დირექტორის მიერ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის ბრძანება;
- ფაქტობრივი მდგომარეობა;
- ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდის ფაქტობრივი მდგომარეობა http://www.spectri.org/index.php/alert/biblioteka
- კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება;
- პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრება;
- პრაქტიკის ობიექტთან - შპს „ანაგი“-გაფორმებული მემორანდუმი/შეთანხმება/წერილი 30 კურსდამთავრებულის მომზადების შესახებ;
- პრაქტიკის ობიექტის - შპს „ანაგის“ წარმომადგენლებთან გასაუბრება;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი - 2გვ.გამოგზავნილია დასკვნის პროექტთან ერთად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

13.05.2021
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: